



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს სხდომის  
ოქმი N13**

**ქ. ლანჩხუთი**

**17.12.2018 წელი**

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანელები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-მწვანელები"-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე კარლო კვიციანი (მოხსენებითი ბარათი N1452), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ეკა მეგრელიშვილი.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ იმედაიშვილი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი მაკა სულაბერიძე.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მერიის ოფიციალური მომართვის საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტს სხდომას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ იმედაიშვილი. მან ასევე განაცხადა, რომ მერიის მომართვის საფუძველზე 19 დეკემბერს ჩანიშნულ იქნა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რის გამოც ბიუროს სხდომის დღის წესრიგიდან ამოღებულ უნდა იქნას საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა აღნიშნული საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგიდან ამოღებას.**

**მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. იმედაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი თ. იმედაიშვილი/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ა. მახათაძე/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გ. გვარჯალაძე/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გ. ჩახვაძე/

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ე. თევდორაძე/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ნ. ძიმიგური/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24

ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

12. "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

13. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

**მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 25 დეკემბერი 11:00 საათი.

**დღის წესრიგის პირველი საკითხი** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **თამაზ იმედაიშვილმა**. მან ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტზე, რომელიც მოიცავდა 2019-2022 წლებს და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; დასუფთავება და გარემოს დაცვა; განათლება; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები. მან ასევე აღნიშნა, რომ ჩამოთვლილთაგან ყველა თანაბრად პრიორიტეტულია.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **თამაზ იმედაიშვილმა**.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველი ვარიანტი. განხილვისას გამოითქვა გარკვეული შენიშვნები, რომლებიც გაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას გათვალისწინების მიზნით. 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის კორექტირებულ ვარიანტში არცერთი შენიშვნა არ იქნა გათვალისწინებული, რის გამოც კომისია არ განიხილავს წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბერს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ უკმაყოფილება გამოთქვა მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის ლევან ჩხაიძის მიმართ, იმის გამო, რომ ის კომუნიკაციას ვერ ამყარებს მოსახლეობასთან.

საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-მწვანეების" თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ აღნიშნა, რომ დეპუტატი იოსებ ჩხაიძე უკვე რამდენიმე თვეა ითხოვს იმ მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალს, რომლის განხილვაც პერიოდულად ხდება კომისიებზე, მაგრამ უშედეგოდ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ მერიისგან შემოსული საკითხი უნდა იყოს სრულყოფილი. კერძოდ, როცა ბიუჯეტის ცვლილება ეხება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას მას თან უნდა ახლდეს კონკრეტული ობიექტების ჩამონათვალი.

მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, ლევან ჩხაიძემ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომებზე დასამტკიცებლად

შემოტანილ საკითხს, რომელიც ეხება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას, ყოველთვის თან ახლავს კონკრეტული ობიექტების ნუსხა. ასევე, როცა შემოდის ოფიციალური განცხადება პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, მიმდინარეობს განცხადების განხილვა და შესაბამისი დაფინანსების შემხვევაში ხდება დაკმაყოფილება.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანი** აღნიშნა, რომ ძალიან პრობლემურია საკითხი, რომელიც ეხება შიდა ტრანსპორტის მოწესრიგებას. კერძოდ, ორი ავტობუსი არის ამორტიზირებული და საჭიროებს შეკეთებას, რასაც ჭირდება შესაბამისი თანხის გათვალისწინება მომდევნო წლის ბიუჯეტში.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული ტრანსპორტი შეკეთებას არ ექვემდებარება, საჭიროა ახლის შეძენა, რომლის საშუალებაც მუნიციპალიტეტს არ გააჩნია.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი გვარჯალამემ** აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ზოგიერთ ქუჩაზე ასფალტის საფარი არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში და საჭიროებს რეაბილიტაციას. საკითხი რამდენჯერმე მწვავედ დაისვა, მაგრამ რეაგირება არ მოჰყოლია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება და შიდა გზების მოწესრიგება გადადის საგზაო დეპარტამენტის ფუნქციებში.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

**დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა.**

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** **კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.**

**მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხი** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ**.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

**დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა.**



საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ოჯახური პირობების გამო საკრებულოს ბიუროს სხდომა დატოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვაძემ.

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა სხდომას წარუდგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ**.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

**დამტკიცდეს** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2019 წლის სამუშაო გეგმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

**დღის წესრიგის მერვე საკითხი** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2019 წლის სამუშაო გეგმა სხდომას წარუდგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა, **ნინო ძიძიგურმა**.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

**დამტკიცდეს** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2019 წლის სამუშაო გეგმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხი** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბერს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.**

**მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეათე საკითხი** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანისთაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების

შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბერს სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს. მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვირკველიამ.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი** "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. "ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ციცინო ჩხაიძე.

**საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს. მომხრე 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**სხვადასხვა**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ჯურუყვეთში ძლიერმა ქარმა ადმინისტრაციულ შენობას

მთლიანად გადახადა სახურავი. მან მუნიციპალიტეტის მერს მიმართა შეკითხვით, თუ როდის და რა საშუალებით მოხერხდებოდა შენობის გადახურვა.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აღნიშნული შენობის სახურავი შეიცვალა მიმდინარე წელს. კანონიერად მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა უფლება სახურავი თავიდან გადაეხურა. მოწვეულია როგორც შემსრულებელი, ასევე კერძო ექსპერტი, რომელიც დეტალურად შეისწავლის სიტუაციას და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ცნობილი ვის მიერ მოხდება ჟურუყვეთის ადმინისტრაციული შენობის გადახურვა.

საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-მწვანეების" თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** განაცხადა, რომ ორ სოფელში წყლის სისტემა არის მოსაწესრიგებელი და ითხოვა აღნიშნული კუთხით დახმარება.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ სოფელ ჯაპანაში დაიწყო მოსახლეობისთვის გაზის მიწოდება, მაგრამ მალევე შეწყდა.

საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ, **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ სუფსის ცენტრში დაიგო ასფალტი და გაკეთდა სანიაღვრე არხები, ისე, რომ გზაზე არსებულ სავაჭრო ობიექტებთან ტრანსპორტი ვერ ახერხებს მისვლას, რადგანაც არხის სიმაღლე ასფალტის საფარიდან არის 20 სანტიმეტრი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ იგი ესაუბრა მოწვეული "რეალ ექსპერტის" წარმომადგენელს, რომელმაც განაცხადა, რომ შეისწავლის სიტუაციას და ხარვეზის დადგენის შემთხვევაში მიღებული იქნება შესაბამისი ზომები.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ** განაცხადა, რომ სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლის სახურავების მეპატრონეებს გადაეცათ გადასახური მასალა, რომელიც რამდენიმე მოქალაქემ გაყიდა. ამიტომ გადასახური მასალის გადაცემისას აუცილებელია მოსახლეობასა და მერიას შორის გაფორმდეს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ვერ შეძლებენ მასალის გასხვისებას.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხი არის არასწორად გაკეთებული, არხში წყალი მუდმივად დგას. საჭიროა ხელახლა დაპროექტება და ახალი სანიაღვრე არხის მოწყობა. მან ასევე აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში ყოფილი "უნივერსალის" მიმდებარე ტერიტორიაზე წვიმის დროს დგება წყალი და აუცილებელია სანიაღვრე არხის მოწყობა.


საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ვლადიმერ ნანაძემ** აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში არის ამკრძალავი ნიშნები, მაგრამ სატვირთო მანქანების მძღოლები არ ემორჩილებიან აღნიშნულ ნიშნებს, რაც აუცილებლად ყურადღებამისაქცევია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტს აღნიშნულ შემთხვევაში არ შეუძლია რეაგირების მოხდენა. მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში მძღოლის დაჯარიმება ხდება პატრულის მიერ.

საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილემ, **კარლო კვიციანიშვილმა** აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება და 440 ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება წყლით, მაგრამ პროექტის მიღმა დარჩენილია ბარათაშვილის ქუჩის ქვედა მხარე და დუმბაძის ქუჩის ბოლო მონაკვეთი. მოსახლეობა გამოთქვამს უკმაყოფილებას აღნიშნული კუთხით. მან ასევე განაცხადა, რომ თავისუფლების ქუჩაზე არსებული მაღალი ნაძვის ხეები ძლიერი ქარის დროს ქმნიან პრობლემებს, კერძოდ შესაძლოა დააზიანონ, როგორც საცხოვრებელი სახლები, ასევე ელექტროგადამცემი ხაზები და გაზის მილები. აუცილებელია აღნიშნული კუთხით შესაბამისი ზომების მიღება.

**ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო